



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანონი მენარმეთა შესახებ

კანონი მენარმეთა შესახებ, მენარმე სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მომწესრიგებელი კანონი საქართველოში. შეიქმნა ქართვ. და გერმ. იურისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად. მიღებულია 1994 წ. 28 ოქტომბერს, ამოქმედდა 1995 წ. 1 მარტიდან. კანონი განიხილავს ექვს მენარმე სუბიექტს: ინდივიდუალურ მენარმეს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (სპს), კომანდიტურ საზოგადოებას (კს), შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს), სააქციო საზოგადოებას (სს), კოოპერატივს. სხვადასხვა დროს ითვალისწინებდა სახაზინო საწარმოსა და სამენარმეო ამხანაგობის არსებობასაც, რ-ებიც ამჟამად გაუქმებულია. ყველა მენარმე სუბიექტს, ინდივიდ. მენარმის გარდა, იურიდ. პირის სტატუსი აქვს. კ. მ. შ. შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

ზოგადი ნაწილი არეგულირებს მენარმე სუბიექტების მოწყობის ზოგად საკითხებს [მენარმე სუბიექტები, მათი დაფუძნება, რეგისტრაცია, პასუხისმგებლობა, შენატანი, საფირმო სახელწოდება, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, პროკურა (გენერალური სავაჭრო მინდობილობა) და იურიდ. მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება, ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, ხანდაზმულობა], ხოლო კერძო ნაწილი – მენარმე სუბიექტების (იურიდიული პირი) მოწყობის სპეც. საკითხებს. ამ კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებას. მიღების შემდეგ მასში მრავალი ცვლილება შევიდა და თავდაპირველი მოდელი მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა დღემდე სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სამართლებრივი მოწყობის ძირითად ნორმატიულ ბაზად რჩება.

წყარო: კანონი მენარმეთა შესახებ, «საქართველოს პარლამენტის უწყებები», 1994, №21-22, მ.455.

ლიტ.: ჭ ა ნ ტ უ რ ი ა ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996; ჭ ა ნ ტ უ რ ი ა ლ., ნ ი ნ ი ძ ე თ., მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002.

ლ. ლაზარაშვილი
